მინდობილობა

ორი ათას თოთხმეტი წლის ჩვიდმეტ იანვარს, შპს **"ისრაელი ჯორჯია ინტერნეშენალ კომპანია"**-მ (საიდენტიფიკაციო №206156871) მისი დირექტორის **იუვალ ბაცირის** (დაბადებული 05.08.1957წ. მცხოვრები იზრაელი, ქ. ნეთანია, აზაიტის ქ. №11, პასპ. ISR №10805011, გაც. 22.07.2005წ. ნიო-იურკი) სახით, **არჩილ მოგელაძეს** (დაბ. 21.12.1975წ., თბილისში, პ/№01025009220) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

არჩილ მოგელაძე უფლებამოსილია იყოს შპს **"ისრაელი ჯორჯია ინტერნეშენალ კომპანია"**-ის წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სანოტარო ბიუროში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, შემოსავლების სამსახურში (საგადასახადო ორგანოებში), საბაჟო ორგანოებში, და სხვა დაწესებულებებში. შეიტანოს ცვლილებები დოკუმენტებში, ამონაწერებში, აწარმოოს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები უძრავი ქონების, შპს **"ისრაელი ჯორჯია ინტერნეშენალ კომპანია"**-ს სახელზე, მდებარე: **თბილისი, სოფელი დიღომში,** და ამასთან დაკავშირებით იყოს შპს **"ისრაელი ჯორჯია ინტერნეშენალ კომპანია"**-ის წარმომადგენელი თელასში, ყაზტრანგასში, წყალკანალში, უფლებამოსილია დაიქირაოს და გაანთავისუფლოს თანამშრომლები საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, შეიტანოს შპს **"ისრაელი ჯორჯია ინტერნეშენალ კომპანია"**-ს სახელით სხვადასხვა განცხადებები და ცნობები. ხელი მოაწეროს კონტრაქტებს, ხელშეკრულებებს, აგრეთვე იყოს საზოგადოების წარმომადგენელი საქართველოს ნებისმიერ ბანკებთან, შეასრულოს საბანკო ოპერაციები შპს **"ისრაელი ჯორჯია ინტერნეშენალ კომპანია"**-ს ანგარიშებზე (გადარიცხოს, შეიტანო და გამოიტანოს თანხები).

ამ უფლებამოსილების განსახორციელებლად **არჩილ მოგელაძე** უფლებამოსილია ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ნებისმიერი სხვა საჭირო მოქმედება ამ დავალების შესრულებასთან დაკავშირებით.

ეს მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით და ძალაშია 2016 წლის 17 იანვრამდე.

იუვალ ბაცირი

თარჯიმანი:

POWER OF ATTORNEY

On this Seventeenth Day of January Twenty Fourteen, Limited Liability Company "**Israel-Georgia International Company**" (ID #206156871), represented by its director **Mr. Youval Batzir** (born on 05.08.1957; address: Israel, Natanya, Azait St. 11; Passport ISR 10805011, issued on 22.07.2005 in New York)

granted following authority to **Mr. Archil Mogeladze** (born on 21.12.1975 in Tbilisi, Personal #01025009220):

Mr. Archil Mogeladze is authorized to represent the company "**Israel-Georgia International Company**", LLC with any governmental and non-governmental institutions, natural persons and legal entities, notary offices, National Agency of Public Registry, revenue services (taxation organs), customs offices, etc., to make changes in the documents and extracts; he is entitled to carry out construction-renovation works to the real estate objects of the company "**Israel-Georgia International Company**", LLC, located at the address: Tbilisi, village of Digomi; in this connection to be the representative of the company "**Israel-Georgia International Company**", LLC with Telasi, KazTransGas, Water supply company, etc.; he is entitled to hire and dismiss employees in the interests of the company, to apply in the company's name, to submit references and other documents, to sign contracts and agreements; **Mr. Archil Mogeladze** is authorized to represent the company "**Israel-Georgia International Company**", LLC with any bank in Georgia, to carry out any transaction on the accounts of the company "**Israel-Georgia International Company**", LLC (to deposit, withdraw, transfer money, etc.)

To exercise this authority **Mr. Archil Mogeladze** has the right to sign adequate documents, and accomplish any other necessary actions connected with this assignment.

This power of attorney has been issued for the period of two years and is valid until 17 January 2016

Youval Batzir Youval Batzir


Teimuraz Bregadze, Translator: Teimuraz Bregadze

საქართველო

ორიათას თოთხმეტი წლის ჩვიდმეტ იანვარს, მე, ნოტარიუს ლია გოგიას სანოტარო ბიუროში (მდებარე ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №46) მომმართა **იუვალ ბაცირმა,** მის მიერ არჩეულ თარჯიმანთან **თეიმურაზ ბრეგაძესთან** ერთად, მან წარმოადგინა მინდობილობა სამ ეგზემპლიარად, და მოითხოვა მასზე მისი ხელმოწერის დამოწმება. ***მე მას განვუმარტე, რომ მინდობილობის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე მე, ნოტარიუსი ლია გოგია არ ვიღებ პასუხისმგებლობას.*** მე დავადგინე **იუვალ ბაცირის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **იუვალ ბაცირმა** (დაბადებული 05.08.1957წ. მცხოვრები იზრაელი, ქ. ნეთანია, აზაიტის ქ. №11, პასპ. ISR №10805011, გაც. 22.07.2005წ. ნიო-იურკი) და **თეიმურაზ ბრეგაძემ** (დაბ. 25.10.1950წ. ტყიბულში, პ/№01012010771, პ/მოწ. №ა 0137888, გაც. 02.11.1996წ. თბილისი, ისნის შს I ქგ. მიერ, მცხოვრები თბილისი, ვაზისუბნის I მ/რ, კორპ. 17, ბ. 39) მომმართეს. მე შევამოწმე **მათი** ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. მე **მას** თარჯიმნის მეშვეობით განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები; თარჯიმანი გავაფრთხილე იმ პასუსისმგებლობის შესახებ, რაც შეიძლება მოჰყვეს არასწორ თარგმანს. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად იცის ინგლისური ენა და პასუხს აგებს თარგმნის სისწორეზე. **იუვალ ბაცირმა** განაცხადა, რომ მინდობილობა სრულიად შეესაბამება მის ნებას და შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მის მიერ წარმოდგენილ ქართულ და ინგლისურ ენებზე შედგენილ მინდობილობას.

გადახდილია სანოტარო საზღაური "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31 მუხლის თანახმად თორმეტი ხელმოწერის - ოცდაოთხი ლარი, ასევე 39 მუხლის თანახმად სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური ორი ლარი, სულ ოცდაექვსი ლარი.

ნოტარიუსი:



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140036284
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	17.01.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ლია გოგია
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი რუსთაველის გამზ. 46
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2997950
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	41456611747914

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18